პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 147 (12355) | კვირა, 24 ივნისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ძმობა, მეგობრობა

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოძმე რუმინეთში

კრაიოვა, 22 ივნისი. (საკდესი). გამოვიდა რა ქარხანა „ელექტროპუტერეს“ კოლექტივის მასობრივ მიტინგზე, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა გ. აპოსტოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ენთუზიაზმი, რომლითაც მიტინგი მიმდინარეობს, აგრეთვე გულითადობა, რომლითაც ჩვენს ძვირფას სტუმრებს შეხვდნენ სხვა ქალაქებში, სადაც ისინი იყვნენ, იმას მოწმობს, რომ ვიზიტი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისა ამხანაგ ხრუშჩოვის მეთაურობით ორი მოძმე ხალხის მეგობრობის მშვენიერი დღესასწაულია, სოციალისტური ბანაკის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაციაა.

ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს ჩვენს სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ უშუალოდ გაიცნონ ნაყოფი რუმინელი ხალხის შემოქმედებითი შრომისა თავისი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის. მთელი რუმინეთის სწრაფ აღმავლობას სოციალისტური მშენებლობის წლებში ასახავს აგრეთვე ის დიდი გარდაქმნები, რაც ოლტენის ოლქში მოხდა.

წარმატებები, რომლებიც რუმინელმა ხალხმა მოიპოვა ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობაში და რომლებიც დაგვირგვინდა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებით ქალაქად და სოფლად, აღნიშნა გ. აპოსტოლმა, შედეგი ლენინური პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებს ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ გეორგიუ დეჟის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის ეპოქალური მიღწევები სხვა სოციალისტური ქვეყნების მიღწევებთან ერთად, თქვა შემდეგ გ. აპოსტოლმა, კაპიტალიზმთან შედარებით სოციალიზმის უპირატესობის მჭევრმეტყველური დადასტურებაა.

საბჭოთა ხალხი მსოფლიოში პირველი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის თავისი გმირული შრომით ახორციელებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის საქმეს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მთელი მსოფლიოს განვითარებაზე.

ახალი ომის თავიდან აცილება, ქვეყნად მტკიცე მშვიდობის დამყარება მსოფლიოს ყველა ხალხის მხურვალე მისწრაფებაა, განაგრძო გ. აპოსტოლმა. სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ დგანან მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლის პირველ რიგებში. საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას აქტიური წვლილი შეაქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებაში. ცნობილია განუწყვეტელი ღონისძიებანი, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა ახორციელებს ბალკანეთის ხალხების მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მშვიდობის ზონად ბალკანეთის რაიონის გადაქცევისათვის, აგრეთვე რუმინეთის მთავრობის წინადადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ ღონისძიებათა შესახებ, რომ გაუმჯობესდეს სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოთა კეთილმეზობლური ურთიერთობა. ჩვენი ქვეყანა კვლავაც იბრძოლებს საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ვიზიტი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, თქვა დასასრულ გ. აპოსტოლმა, ხელს შეუწყობს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ძმური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, დაეხმარება ჩვენი ხალხების საერთო საქმეს.

ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი.

ვ. ვ. გრიშინმა მიმართა მიტინგის მონაწილეებს და საბჭოთა კავშირის მშრომელთა მხურვალე ძმური სალამი გადასცა ქარხანა „ელექტროპუტერეს“ ყველა მუშასა და მოსამსახურეს, ქალაქ კრაიოვას ყველა მცხოვრებს.

უკვე რამდენიმე დღეა, განაცხადა ვ. ვ. გრიშინმა, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს, იმყოფება თქვენს შესანიშნავ ქვეყანაში. ყველგან, სადაც კი ვიყავით, ისევე გულთბილად გვხვდებიან, როგორც აქ, თქვენს ქარხანაში. ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადგიხადოთ ძმური სტუმართმოყვარეობისათვის, გულითადი შეხვედრისათვის.

საბჭოთა კავშირი და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა, თქვა შემდეგ ვ. ვ. გრიშინმა, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლით ერთიან მწყობრში არიან. მათ აერთიანებს მიზნებისა და ამოცანების ერთობა დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე. ჩვენი ქვეყნებისა და პარტიების ურთიერთობაში დამყარდა ურღვევი ძმური მეგობრობა, ერთიანობა და თანამშრომლობა, ჩვენს ორივე ქვეყანასა და პარტიას შეაქვს თავის წვლილი სოციალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ვ. ვ. გრიშინმა შემდეგ აღნიშნა, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა მსოფლიო განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. საბჭოთა კავშირი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა სოციალისტური ქვეყნები დაუცხრომლად და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობიანი გზით სადავო საკითხების გადაჭრის ლენინურ პოლიტიკას. სოციალიზმისა და მშვიდობის ძალების ზრდის მეოხებით იმპერიალისტებმა ვერ დაიწყეს ახალი მსოფლიო ომი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სავსებით აღმოიფხვრა ომის საფრთხე. იმპერიალისტური სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, ამწვავებენ საერთაშორისო დაძაბულობას, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, აწარმოებენ ატომური იარაღის გამოცდას, ემუქრებიან საბჭოთა კავშირსა და მთელ სოციალისტურ ბანაკს.

ამ პირობებში სოციალისტური ქვეყნების ხალხებს თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ ხალხთა სიფხიზლე, კიდევ უფრო განამტკიცონ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საიმედო ბურჯის — სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება, ეკონომიური ძლიერება და თავდაცვისუნარიანობა.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ყველა სოციალისტური ქვეყნის მშრომელები, თქვა დასასრულ ვ. ვ. გრიშინმა, კვლავაც შეიტანენ ღირსეულ წვლილს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვების, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, თავისუფლებისა და პროგრესის საქმეში, კაცობრობის უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეში.

ბუქარესტი, 23 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს და რომელიც რუმინეთში მოგზაურობს, ჩავიდა კონსტანცაში — დიდ ნავსადგურში შავი ზღვის სანაპიროზე. დელეგაციასთან ერთად აქ ჩავიდნენ გ. გეორგიუ-დეჟი, ი. გ. მაურერი და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. საბჭოთა დელეგაცია და რუმინეთის ოფიციალური პირნი ეწვევიან რუმინეთის შავი ზღვის სანაპიროს კურორტებს.

კონსტანცა, 23 ივნისი. საკდესის სპეც. კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და კ. კრავჩენკო იტყობინებიან: დღეს ნაშუადღევს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ბუქარესტიდან ჩამოვიდა კონსტანცაში — უდიდეს ნავსადგურში, რომელსაც რუმინეთის საზღვაო კარს უწოდებენ.

გზაში სპეციალური მატარებელი გაჩერდა ბევრ სადგურში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები გულითადად მიესალმებოდნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

მხურვალედ შეხვდნენ საბჭოთა სტუმრებს კონსტანცის მცხოვრებლები. ვოგზლის ბაქანზე და მოედანზე შეიკრიბა ათასობით ადამიანი. ვაგონიდან გამოსვლისას გ. გეორგიუ-დეჟმა ნ. ს. ხრუშჩოვს წარუდგინა რუმინეთის მუშათა პარტიის კონსტანცის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვილკუ, საოლქო სახალხო საბჭოს თავმჯდომარე პ. იონესკუ და ოლქისა და ქალაქის სხვა ხელმძღვანელები.

განუწყვეტელ „ვაშას“ შეძახილებში საბჭოთა სტუმრები და მათი თანმხლები რუმინეთის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები მანქანებში სხდებიან და მიდიან ქალაქის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში. სახლების შენობებზე ჰკიდია რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ალმები, ნ. ს. ხრუშჩოვისა და გ. გეორგიუ-დეჟის პორტრეტები, წითელი ქსოვილები, რომლებზეც წარწერილია სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“, „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა და სსრ კავშირი მარადიული მეგობრები არიან!“, „გაუმარჯოს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“.

ქუჩებში გამოვიდა კონსტანცის თითქმის მთელი მოსახლეობა. ხალხს მხიარული განწყობილება აქვს, ისინი აქნევენ ალმებს, ყვავილთა თაიგულებს. განუწყვეტლივ გრიალებს ტაში, გაისმის მისალმების შეძახილები.

ქალაქიდან საბჭოთა სტუმრები გაემგზავრნენ რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ უდიდეს კურორტ მამაიში. იგი მდებარეობს ქალაქის ჩრდილოეთით, ყელზე, რომელიც სიუტგელის ტბას გამოჰყოფს შავი ზღვისაგან.

მანქანები მიდიან მშვენიერი პლაჟის, ლამაზი მრავალსართულიანი სასტუმროების, რესტორნების, კაფეებისა და საკურორტო კომპლექსის სხვა ნაგებობათა-გაყოლებით, რომელიც გადაჭიმულია სანაპიროს 4 და მეტ კილომეტრზე.

ათასობით დამსვენებელი გამოვიდა მოასფალტებულ მაგისტრალზე, რომ მიესალმოს ძვირფას საბჭოთა სტუმრებს.

მამაის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები და რუმინეთის მუშათა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები კვლავ მიდიან კონსტანცის ქუჩებში, კურორტ ეფორიისაკენ, რომელიც 14 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქის სამხრეთით. სანაპიროზე ღიაფრად შენებული პატარა ლამაზი კოტეჯებია. მათ პარალელურად აღმართულია მრავალსართულიანი დასასვენებელი სახლების კომპლექსი. ყველა ისინი მდებარეობენ უზარმაზარ გამწვანებულ პარკში. აქ ერთდროულად ისვენებს 12 ათასამდე კაცი. ისევე როგორც მამაიში, კურორტის დამსვენებლები და მოსასახურე პერსონალი აღტაცებით შეხვდნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

კურორტის დათვალიერების შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გაემგზავრა მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში შავი ზღვის ნაპირზე.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთში
სურათზე: შეხვედრა მეშახტეთა ქალაქ ლუპენში.
ფოტო საკდესის სპეციალური კორესპონდენტის ვ. სობოლევისა.

გზები და შეხვედრები

მარგანეცი ივლისის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს ვორონეშლოვის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ა. ფხალაძე, პარტბიუროს მდივანი ა. სხირტლაძე). მან სამი კვირით ადრე შეასრულა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ნახევარი წლის დავალება და ივლისის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათას ტონობით მარგანეცი.

დაუღალავად შრომობენ იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც დ. ხვედელიძე და ა. სამხარაძე ხელმძღვანელობენ, აგრეთვე მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები, რომლებსაც ინჟინერი ვ. ფალავანდიშვილი უძღვება.

მაღაროს კოლექტივი ახალ საწარმოო სარეკორდს ამზადებს მეტალურგის დღის შესახვედრად.

ახალი ქარხანა

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში დამთავრდა ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის საკონსერვო ქარხნის მშენებლობა, რაზედაც 152.000 მანეთი დაიხარჯა.

ქარხანა მთლიანად უახლესი სამამულო ტექნიკით არის აღჭურვილი. მისი საწარმოო სიმძლავრეა წელიწადში ორი მილიონი პირობითი ქილა კონსერვი. მიმდინარე წლის სეპტემბერში ქარხანა გამოუშვებს ერთ მილიონ ქილა ხილის კომპოტს, მურაბას, ჯემს და ზოგიერთი სახის გოსტნეული კონსერვებს.

ბათუმი

სოხუმი. 23 ივნისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). დღის პირველ ნახევარში რუსული პოეზიის დეკადის მონაწილე პოეტების ის ჯგუფი, რომელიც სოხუმში იმყოფება, ეცნობოდა ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. რუსმა პოეტებმა ა. ტვარდოვსკიმ, ნ. რილენკოვმა, ვ. სოლოუხინმა, ე. დოლმატოვსკიმ და ი. მორიცამ ინახულეს სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას საფლავი და ცოცხალი ყვავილებს თაიგულებით შეამკეს.

დღის მეორე ნახევარში დეკადის მონაწილე რუსი და ქართველი პოეტები კატარღით ბათუმში გაემგზავრნენ.

ბათუმი. 23 ივნისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). დღეს ბათუმში ჩამოვიდა დეკადის მონაწილე პოეტების ორივე ჯგუფი. ქუთაისიდან წამოსულმა ჯგუფმა ბათუმში ჩამოსვლამდე გამოიარა მახარაძესა და ქობულეთში.

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში დეკადის მონაწილეებთან გაიმართა შეხვედრა, რომელიც გახსნა პოეტმა ფ. ხალვაშმა. სტუმრებს მიესალმა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თხილაიშვილი. მოხსენებით გამოვიდა პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე. სტუმრებს გულთბილი სიტყვით მიმართა ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრმა ლ. მგელაძემ.

შემდეგ გამოვიდნენ რუსი და ქართველი პოეტები.

ხვალ დეკადის მონაწილენი თბილისში დაბრუნდებიან.

ჩაის ფოთლის პრეფის გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში

1962 წლის 20 ივნისისათვის (ტონეგში)

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები და ავტონომიური რესპუბლიკები	გეგმა 1962 წლის	გეგმა მაის-ივნისის	შესრულება	შესრულების პროცენტი 1962 წლისა	შესრულების პროცენტი მაის-ივნისის
ზესტაფონის სამმართველო	395	180	307	77,7	170,6
სამტრედიის სამმართველო	3.721	1.764	2.030	54,6	115,1
წყალტუბოს სამმართველო	5.840	2.886	3.516	60,2	121,8
მახარაძის სამმართველო	44.760	21.473	24.200	54,1	112,7
ცხაკაიას სამმართველო	17.132	7.991	8.519	49,7	106,6
ზუგდიდის სამმართველო	31.271	14.833	15.427	49,3	104,0
აფხაზეთის სსრ	25.760	11.763	12.439	48,3	105,7
სოხუმის სამმართველო	22.860	10.453	11.134	48,7	106,5
გუდაუთის სამმართველო	2.900	1.310	1.305	45,0	99,6
აჭარის ასსრ	26.121	12.514	14.635	56,0	116,9
ქობულეთის სამმართველო	25.961	12.437	14.536	56,0	116,9
შუახევის სამმართველო	160	77	99	61,9	128,6
სულ საქართველოს სსრ-ში იყო 1961 წლის 20 ივნისისათვის	155.000	73.404	81.073	52,3	110,4
იყო 1962 წლის 15 ივნისისათვის	150.000	68.866	69.078	46,1	100,3
	155.000	73.404	76.500	49,4	104,2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ზ. ა. კვაჭაძის მოხსენება რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მკვეთრად გარდაიქმნა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და ამ საქმეში მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. რესპუბლიკაში შექმნილია საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ბავშვთა ბაგების, ქალთა კონსულტაციების, სანატორიუმებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელი.

1913 წელთან შედარებით საავადმყოფოების რიცხვი გაიზარდა 17-ჯერ, ხოლო საწოლთა რიცხვი 15-ჯერ. მარტო 1960-61 წლებში გახსნილია 34 ახალი საავადმყოფო, 12 პოლიკლინიკა-დისპანსერი, 123 საფერშლო-საბებიო პუნქტი და ა. შ. საავადმყოფო საწოლთა რაოდენობა გაზრდილია 3.120-ით.

რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში ამჟამად მუშაობს 13 ათასზე მეტი ექიმი უმაღლესი განათლებით.

ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 70 ათასზე მეტი სამედიცინო და სამეურნეო პერსონალი. გახსნილია 28 სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი და 17 საშუალო სამედიცინო სასწავლებელი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო დაწესებულებათა აღჭურვა სამედიცინო აპარატურითა და სამეურნეო მოწყობილობით.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ლიკვიდირებულია რიგი ინფექციური დაავადებანი, დაავადებათა ნაწილი კი საგრძნობლად არის შემცირებული.

მაგრამ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი რიგ ნაკლოვანებებს.

ზოგ შემთხვევაში დაბალია ავადმყოფთა მომსახურების კულტურა. ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების მუშაობაში ადგილი აქვს ავადმყოფისადმი არაგულისხმიერ, უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს. რიგ სამკურნალო დაწესებულებებში არ არის უზრუნველყოფილი სანიტარული წესრიგი. სოფლის მომუშავე სამედიცინო პერსონალის საყოფაცხოვრებო პირობებს ზოგიერთ რაიონში არ ექცევა სათანადო ყურადღება, რაც ხელს უშლის ადგილებზე საექიმო კადრების დამაგრებას. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ბრძოლა ზოგიერთ ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ. არასაკმარისად ტარდება ღონისძიებანი ტუბერკულოზური დაავადების მაქსიმალურად შემცირებისა და შემდგომში სრული ლიკვიდაციისათვის. დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებებია.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ყოველთვის არ უწევენ სათანადო კონტროლსა და დახმარებას სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობას. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში ნაკლებად არის ჩაბმული მშრომელთა ფართო მასები, არ ტარდება საკმაო ღონისძიებები ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარული კეთილმოწყობისათვის. ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები რიგ შემთხვევებში არ იჩენენ სათანადო აქტივობას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციები არ იცავენ მშენებლობისათვის დაწესებულ ვადებს, რის შედეგადაც წლობით ჰიანურდება ბავშვმოყოფ-პოლიკლინიკათა მშენებლობა. ამასთან შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია (ლენინგორი, ლაგოდეხი, ბათუმი და სხვ). შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს რაიონებში ექიმებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

სერიოზული ნაკლოვანებებია საავადმყოფოების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში, რის გამოც ავადმყოფთა კვება უმეტესად ერთფეროვანია. ავადმყოფთა კვებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები რიგ შემთხვევებში აუთვისებელი რჩება.

ჯერ კიდევ მთლიანად დაკმაყოფილებული არ არის მოსახლეობის მოთხოვნილება მედიკამენტებზე. სამკურნალო დაწესებულებებში იგრძნობა ინვენტარის ნაკლებობა.

რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

ა) გაძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაზე, ჩაბაან მშრომელთა ფართო მასები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში, მეტი უურადღება მიაქციონ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარულ კეთილმოწყობასა და მიიღონ ზომები სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის კულტურის ასამაღლებლად. ქმედითი დახმარება გაუწიონ ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის მუდმივ კომისიებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებას, ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას, დასახლებული ადგილებისა და ობიექტების სრულ სანიტარულ წესრიგში მოყვანას;

დ) სისტემატურად განიხილონ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა და უზრუნველყონ კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულება;

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

ა) გაუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში, უზრუნველყოს ავადმყოფთა ადრეული გამოვლინება, ჰოსპიტალიზაცია, მკურნალობა, დეზინფექციური დამუშავება, კონტაქტირებულთა გამოკვლევა და მეთვალყურეობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროფილაქტიკური აცრის საქმის გაუმჯობესებას. ფართოდ იქნას გამოყენებული ინფექციურ დაავადებათა ნაადრევი დიაგნოსტიკისათვის მოწოდებული ლაბორატორიული გამოკვლევის თანამედროვე მეთოდები; აღმოფხვრას დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი;

ბ) უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების კომპლექსური და კოორდინირებული მუშაობა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში;

გ) გაუმჯობესოს მოსახლეობაში მახმბრივი სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რისთვისაც ფართოდ იქნას გამოყენებული ბეჭდვითი სიტყვა, პრესა, რადიო, ტელევიზია და ლექციათ-საუბრები;

დ) ფართოდ დანერგოს მოწინავე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარება მოსახლეობის მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურების საქმეში;

ე) უზრუნველყოს რესპუბლიკის მთელი სამედიცინო ქსელის აქტიური ჩაბმა ტუბერკულოზთან ბრძოლის ღონისძიებათა გატარების საქმეში;

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფთიზიატრთა ვაკანტური ადგილების დაკომპლექტებას;

ვ) შემდგომშიც ფართოდ გამოიყენოს რესპუბლიკის მაღალმთიან და სასაზღვრო რაიონების სამკურნალო დაწესებულებებში თბილისში და სხვა ქალაქებში მომუშავე ექიმების ხანგრძლივი პერიოდით მივლინება მოსახლეობისათვის კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის მიზნით.

ფფრო ხშირად მიავლინოს ადგილებზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტებიდან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, პროფესორები და სხვა მეცნიერი მუშაკები;

თ) მკაცრი ზომები მიიღოს, მედიცინის იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ იჩენენ უსულგულო დამოკიდებულებას ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების საქმისადმი, და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას;

ი) გადაჭრით გაუმჯობესოს ხელმძღვანელობა იმ მიმართულებით, რომ სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის მუშაობის შედეგები უფრო მეტად დაინერგოს სამედიცინო პრაქტიკაში;

კ) ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კოლმეურნეობების თანასწორს საკუთარი სახსრებით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობაში;

ლ) მიიღოს უფრო ქმედითი ზომები როგორც კაპიტალური მშენებლობის დაჩქარებისა, სათანადო სახსრების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის, არ დაუშვას სახსრების დაქუცმაცება და ახალი ობიექტების მშენებლობის დაგეგმვისას ზუსტად იხელმძღვანელოს მოქმედი ნორმებით მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ;

მ) გააუმჯობესოს მოსახლეობისა და სამედიცინო დაწესებულებების მედიკამენტებით მომარაგება, სრულყოს აფთიაქებში წამლების დამზადების ტექნოლოგია და აამაღლოს მისი ხარისხი; მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით მოახდინოს აფთიაქებისა და საფთიაქო მაღაზიების ქსელის რაციონალური დისლოკაცია;

ნ) სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოების მეშვეობით გაძლიერეს სანიტარული ზედამხედველობა დასახლებულ ადგილებში კვების ობიექტებზე სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დაცვისა და ოქმეთის მიზნით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

ა) ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა ქსელის მიზანშეწონილი განლაგებისა და მათი მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებთან უფრო მიახლოვების მიზნით ახალი საცხოვრებელი შენობების მშენებლობისას გაითვალისწინონ პოლიკლინიკებისა, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების, რძის სამზარეულოების, აფთიაქების მოსაწყობი ფართობის გამოყოფა.

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის, რათა აღკვეთილ იქნას სასმელი წყლის გაბინძურებით გამოწვეული ინფექციური დაავადებების აღმოცენება და გავრცელების შესაძლებლობა, პირველ რიგში ის დასახლებულ ადგილებში, რომლებიც ეპიდემიურად არაკეთილსაიმედოა (ქ. ქ. ტყვარჩელი, რუსთავი, თელავი, საგარეჯოს, ბოლნისის და სხვა რაიონები);

გ) ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ქალაქების, დაბების, რაიონული ცენტრების და სოფლის კეთილმოწყობისა და სანიტარული წესრიგის დასამყარებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს 1961 წლის 24 მარტის № 168 დადგენილების შესაბამისად;

დ) უზრუნველყონ საკოლმეურნეო ამბულატორიის მშენებლობის გეგმების შესრულება, უმოქმედო და არადანშნულებისამებრ გამოყენებული საკოლმეურნეო ამბულატორიის შეკეთება, კეთილმოწყობა და წესიერი ექსპლოატაცია;

ე) მიიღონ ყოველგვარი ზომები წყალსადენების, კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის;

ვ) გადამჭრელი ზომები მიიღონ მედიცინის მუშაკთა შრომისა და საყოფაცხოვრები პირობების გასაუმჯობესებლად. საცხოვრებელი ფართობით მათ უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით სოფლებში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ:

ა) მაქსიმალურად უზრუნველყოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებათა მოთხოვნილება მატერიალური და ტექნიკური მ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაუქმების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 23 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს გაუქმების შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 26 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაუქმების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „დამზადებათა“, და „სოფლის მეურნეობისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს გაუქმებისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56 მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 21 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს გაუქმებისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56 მუხლში, საიდანაც ამოღებულ იქნას სიტყვები: „ადგილობრივი მეურნეობისა“, და მის ნაცვლად დაემატოს „ადგილობრივი მრეწველობისა“, სიტყვის „ვაჭრობისა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „კომუნალური მეურნეობისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 102[1] მუხლის დამატების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 21 თებერვლის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 102[1] მუხლის დამატების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულება „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56 მუხლში დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 23 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56 მუხლში სიტყვებს „საავტომობილო ტრანსპორტისა“, შემდეგ დაემატოს სიტყვები: „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 21 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლში, სიტყვების „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულება „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირადი საკუთრების პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ზღვრული ოდენობის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძანებულება „ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირადი საკუთრების პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ზღვრული ოდენობის დაწესების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბიროებისათვის მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულება „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბიროებისათვის მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25 მუხლის მეორე ნაწილის, 26 და 95 მუხლების გამოყენების შესახებ სსრ კავშირის რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 5 ივნისის ბრძანებულება „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25 მუხლის მეორე ნაწილის, 26 და 95 მუხლების გამოყენების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„სამგორის რაიონის ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებიდან გამოყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულება „სამგორის რაიონის ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებიდან გამოყოფის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19 მუხლის სიტყვის „საგარეჯოს“, შემდეგ დაემატოს სიტყვა „სამგორის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრების, მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1962 წლის 22 თებერვლისა — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან ამს. სიმონ სევერიანეს-ძე **ლორთქიფანიძის** გათავისუფლების შესახებ;

1962 წლის 22 თებერვლისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამს. სიმონ სევერიანეს-ძე **ლორთქიფანიძის** საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1962 წლის 22 თებერვლისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამს. ბეჟან ვლადიმერის-ძე **ლორთქიფანიძის** საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1962 წლის 22 თებერვლისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამს. ივი შალვას-ძე **მიქელაძის** საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1962 წლის 27 თებერვლისა — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად ამს. გაბრიელ მიხეილის-ძე **ჭართველიშვილის** დანიშვნის შესახებ;

1962 წლის 1 მარტისა — რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის ამს. ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1962 წლის 23 მარტისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამს. მიტროფანე იონას-ძე **კუჭავას** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1962 წლის 23 მარტისა — საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან ამს. დავით მიხეილის-ძე **მამულაძის** გათავისუფლების შესახებ;

1962 წლის 26 მარტისა — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან ამს. ბიძინა აბიათარის-ძე **იაკობაშვილის** გათავისუფლების შესახებ;

1962 წლის 19 აპრილისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის ამს. მიტროფანე იონას-ძე **კუჭავას** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1962 წლის 19 აპრილისა — საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად ამს. არჩილ ალექსანდრეს-ძე **გიგოშვილის** დანიშვნის შესახებ.

1962 წლის 21 ივნისისა — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად ამს. მამია ამბერკის-ძე **მეგრელიშვილის** დანიშვნის შესახებ;

1962 წლის 21 ივნისისა — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად ამს. ვახტანგ ალექსანდრეს-ძე **პაატაშვილის** დანიშვნის შესახებ;

1962 წლის 21 ივნისისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამს. კარლო კონსტანტინეს-ძე **გარდაფხაძის** დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 ივნისი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

მაისურაძე ვლადიმერ ივანეს-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

ქაჯაია სერგი იასონის-ძე
ოსსავა გიორგი ყირიმის-ძე
ცქიტიშვილი გიორგი კონსტანტინეს-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები:

აბაშიძე ანდრია ვლადიმერის-ძე
აბაზოვი ოთარ კოჩარის-ძე
ადამიანი სურენ გეღამის-ძე
ბადაგაძე ნიკოლოზ ალექსის-ძე
ბაღათურია დავით ისიდორეს-ძე
ბლიაძე გოდერძა ვლადიმერის-ძე
ბუბაშვილი ტარასი სევერიანეს-ძე
გაჯიევი ნასიბ ყურბანის-ძე
გველესიანი ოთარ ალექსანდრეს-ძე
გიორგაძე დავით დავითის-ძე
გიგაური ანდრია იოსების-ძე
გოგაშვილი იოსებ ვასილის-ძე
გრძელიძე ვახტანგ თეიდორეს-ძე
დევდარიანი გრიგოლ გრიგოლის-ძე
კოხრეიძე ლუბა მოსეს ასული
მახარაძე შალვა კირილეს-ძე
მირიანაშვილი ნინო მიხეილის ასული
მუშკუდიანი ვიქტორ ვასილის-ძე
პაიჭაძე თამარ ვლადიმერის ასული
ყორდანია ივანე შალვას-ძე
სუმბათაშვილი ივანე სიმონის-ძე
ფალავანდიშვილი აპოლონ ვლადიმერის-ძე
ქუმსიაშვილი ანა იორამის ასული
ღუღუნიშვილი ალექსანდრე არსენის-ძე
ცაბოლოვა ელისაბედ პავლეს ასული
ცინცაძე ალექსანდრე მიხეილის-ძე
ჭელიძე სერაფიონ ლუარსაბის-ძე
ჭიპაშვილი ბაბო (ბარბალე) სერგის ასული
ხონიკაძე აღელინა ივანეს ასული
ხუციშვილი ნორა გრიგოლის ასული
ჯაფარიძე ტოსია ლევანის ასული
ჯიბლაძე ოთარ ალექსანდრეს-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები:

ქ. თბილისი

არველაძე შოთა მელიტონის-ძე
ასათიანი არჩილ ივანეს-ძე
ასტვაცატუროვი გარეგინ დარჩოს-ძე
ანდრონიკაშვილი მიხეილ დავითის-ძე
არშაკიანი სუზანა სერგოს ასული
აბაშმაე ლამარა ნოეს ასული
არაქელაშვილი ნინო ივანეს ასული
ახანიშვილი ავთანდილ ვლადიმერის-ძე
არუთინოვა-ესიტაშვილი ევგენია სარქისის ასული
არზუმანოვი ლევ არკადის-ძე
ბურკაძე ჯულიეტა ივანეს ასული
ბერიაშვილი მიხეილ კონსტანტინეს-ძე
ბენაშვილი ილია ნიკოლოზის-ძე
ბასიაშვილი გაბრიელ მარკარის-ძე
ბეკთაბეგოვი გიორგი ივანეს-ძე
ბერიძე დავით დიანოზის-ძე
ბოდოკია ლილი ვალერიანეს ასული
ბახტაძე რუსუდან დომენტის ასული
ბაქრაძე დარია სიმონის ასული
ბურჭულაძე თენგიზ ვლადიმერის-ძე
ბახტაძე გივი ივანეს-ძე
ბაზიკი ვლადიმერ გრიგოლის-ძე
ბიკაშვილი ლატავრა შალვას ასული
გოგოლაძე ბარონ ანდროს-ძე
გამცემლიძე თენგიზ გრიგოლის-ძე
გოგოლაძე გივი ანტონის-ძე
გელაძე მედეა გიორგის ასული
გოგოლაშვილი ქეთევან აპოლონის ასული
გიორგობიანი ალექსი არჩილის-ძე
გაბათაშვილი ნინო ვასილის ასული
გეგუჩაძე ლილი აკაკის ასული
დავლიანიძე რევაზ სიღოვანის-ძე
დუნდუა ნინა სევერიანეს ასული
დანგაშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული
დიდებაშვილი ალა ალექსანდრეს ასული
დავლიანიძე ვიტალი ალექსანდრეს-ძე
დანდოროვი მაცაკ ნიკოლოზის-ძე
ებრალიძე ნოდარ იროდიონის-ძე
ელისაშვილი ნანა იოსების ასული
ვაშაკიძე ანზორ ვლადიმერის-ძე
ვერულაშვილი გრიგოლ ნიკოლოზის-ძე
ვაჭარაძე ვარლამ ილარიონის-ძე
ვარძელაშვილი კონსტანტინე დიმიტრის-ძე
ზანგალაძე ანზორ ალექსანდრეს-ძე
ზუკაკიშვილი ბელა ზაქარიას ასული
ზედელაშვილი გიორგი მოსეს-ძე
ზამთარაშვილი ნინო ზაქარიას ასული
ზაზანაშვილი თამარ გარსევანის ასული
თხელიძე ბორის პავლეს-ძე
თიგიშვილი ზაქარია ილარიონის-ძე
თოთაძე შოთა ივანეს-ძე
თვალბეგიშვილი პავლე ვარლამის-ძე
თენგიშვილი დავთი მირიანის-ძე
ივანოვი ვლადიმერ ვასილის-ძე
იშხნელი ევგენია მოსეს ასული
იაროვი დავთი ალექსანდრეს-ძე
იოსელიანი-მიქელაძე თამარ ალექსანდრეს ასული
კაკაბაძე გიორგი მარკოზის-ძე
კაპანაძე დავით ირაკლის-ძე
კორძაძე ეკატერინე პლატონის ასული
კირვალიძე ლამარა სერგოს ასული
კავთელაძე ნიკოლოზ ტრიფონის-ძე
კერესელიძე ბაგრატ ალექსის-ძე
კოლხიდაშვილი ზინა გიორგის ასული
კიპაროიძე გრიგოლ ილიას-ძე
კობერიძე ნარა ალექსანდრეს ასული
კარიბოვი დიმიტრი ვლადიმერის-ძე
კუტალაძე ლუარსაბ რაფიელის-ძე
კვაჭაძე ირაპოლის ესეს-ძე
კოზლოვი ვიქტორ მიხეილის-ძე
ლაფაჩიძე ირაკლი გიორგის-ძე
ლილუაშვილი გურამ სიმონის-ძე
ლორთქიფანიძე ელენე აგვესტინის ასული
ლითანიშვილი ვასილ ნიკოლოზის-ძე
ლიფონოვა სერგო ალექსანდრეს-ძე
მარგალიტაძე ტარასი ონისიმეს-ძე
მოდებაძე სპირიდონ პლატონის-ძე
მიქელაძე ვარვარა იოსების ასული
მარღანია ნინა მელიტონის ასული
მეტრეველი ბაბილინა ბესარიონის ასული
მანჯაიძე რუსუდან პავლეს ასული
მშვენიერაძე მაყვალა კალენიკეს ასული
მეავანაძე გურანდა ელიას ასული
მეავანაძე ნელი დავითის ასული
მერაბიშვილი სერგო გიორგის-ძე
მთათაშვილი მიხეილ ალექსანდრეს-ძე
მენაბდე ალექსანდრე მათეს-ძე
მშვიდობაძე გრიგოლ შევარდნის-ძე
მჭედლიშვილი მაყვალა გიორგის ასული
ნატროშვილი იოსებ ისაკის-ძე
ნაკაიძე თამარ ლავრენტის ასული
ნადარეიშვილი ვენერა ევგენის ასული
ოქროშიძე ირაკლი ივანეს-ძე
ომიაძე ოთარ ალექსანდრეს-ძე
ოქროცოვიძე ვასილ ივანეს-ძე
ოდიკაძე კონსტანტინე ალფეზის-ძე
პატარაია ირაკლი კაპიტონის-ძე
რეკა ალექსანდრე ვასილის-ძე
როყვა ნათელა ნიკოლოზის-ასული
რთველაძე ქეთევან იპოლიტეს ასული
რუხაძე გიორგი დავითის-ძე
სუხიშვილი ივანე სიმონის-ძე
სულაქველიძე ლეილა სამსონის ასული
სირაძე ანზორ სამსონის-ძე
სახვაძე ნიკოლოზ გიორგის-ძე
სამხარაძე ვასილ გულასპის-ძე
სარალიძე ნინო ვასილის ასული
სულაძე იური ანტონის-ძე
საყვარელიძე სერგო სიმონის-ძე
ფილიაშვილი ლევან ვასილის-ძე
ფირანიშვილი ვახტანგ აბელის-ძე
ფანიაშვილი ალექსანდრე ტარიელის-ძე
ფიცხელაური დავით ალექსანდრეს-ძე
ფეიქრიშვილი ვახტანგ ივანეს-ძე
ქსოვრელი გრიგოლ იაგორის-ძე
ქავთარაძე სირან გიორგის ასული
ქალიაშვილი ლიანა შალვას ასული
ქორიძე გიორგი ალექსანდრეს-ძე
ღონდაძე ნიკოლოზ არჩილის-ძე
ღლონტი ელისაბედ ანტონის ასული
ყავლაშვილი ჯიბო მინას-ძე
ყუჩარაშვილი მარიამ კონსტანტინეს ასული
ყუფარაძე ნანული პროკოფის ასული
შენგელია ნოდარ ირაკლის-ძე
შავგულიძე ნინო გრიგოლის ასული
ჩადუნელი რიმა ნიკოლოზის ასული
ჩიგოგიძე პალიკო კონსტანტინეს-ძე
ჩიქოვანი აკაკი ირაკლის-ძე
ჩხაიძე კალისტრატე ექვთიმეს-ძე
ჩხიკვაძე ეთერ ნიკოლოზის ასული
ჩერვიაკოვი ნიკოლოზ პეტრეს-ძე
ცერცვაძე გიორგი კირილეს-ძე
ცხადაძე ვახტანგ ალექსანდრეს-ძე
ცხადაძე ვალენტინა იოსების ასული
წიფწიფაძე ალექსანდრე ივანეს-ძე
წერეთელი ნელი ვლადიმერის ასული
ჭოხონელიძე თამარ დავითის ასული
ჭელიძე სიმონ ტრიფონის-ძე
ხუნდაძე მურმან ვალერიანეს-ძე
ხაინდრავა მარო ბაგრატის ასული
ხვიტია აბელ ბათვას-ძე
სამხარაძე ნინა ივანეს ასული
ხუნდაძე ალექსანდრე სიმონის-ძე
ჯანჯღავა რევაზ ვლადიმერის-ძე
ჯოჯუა ოთარ გიორგის-ძე
ჯაყელი ილია ალექსანდრეს-ძე
ჯაფარიძე რუსუდან ვიქტორის ასული

ქ. ბათუმი

ბაძღარაძე დიმიტრი მიხეილის-ძე
დიასამიძე ქამერ ოსმანის-ძე
ძნელაძე ალექსანდრე ისმაილის-ძე
ჭითავა ტატიანა მალაქიას ასული

ქ. სოხუმი

აშუბა ბელა შუქრის ასული
კურასკუა ვალერი ბორისის-ძე
ფანცულაია ზინაიდა ილარიონის ასული

ქ. ცხინვალი

ბიტაროვი ნინო ალექსანდრეს ასული
ივანიძე ნინა ვასილის ასული
მალრაძე ვლადიმერ პავლეს-ძე
შავლოხოვი ხანზერიფა ვასილის ასული
ძაგოევი ინესა ქრისტეფორეს ასული

ქ. ჟუთაისი

გვაზავა ლუბა ბათლომეს ასული
ინანიშვილი ნოდარ დავითის-ძე
იჩქითაძე ტრიფონ პართენის-ძე
კენჭოშვილი ვალერიან ვასილის-ძე
კვიმსაძე ვარლამ ლავრენტის-ძე
კოხოძე დავით ვარდენის-ძე
მელქაძე გივი კონსტანტინეს-ძე
მიხელიძე პაშა ილიას-ძე
მუშკუდიანი დიზი სარდიონის ასული
ნიფარაძე ეფრემ გუას-ძე
ფორფოლიანი მიხეილ პლატონის-ძე
სინაურიძე ლევან თადეოზის-ძე
ტაბუციძე აკაკი ნიკოლოზის-ძე
ფერაძე სოკრატ ლეონტის-ძე
ცაგარეიშვილი ბიძინა კონსტანტინეს-ძე
ჭიჭინაძე ოთარ შალვას-ძე.
ჯიმშელეიშვილი ისაკ თეოფილეს-ძე

ქ. გორი

დევდარიანი გულნარა კონსტანტინეს ასული
კობერიძე ირაკლი პავლეს-ძე
რთველიაშვილი ანტონ ივანეს-ძე
ყანჩაველი მარო გიორგის ასული
ჯამბრიშვილი ამირან ვლადიმერის-ძე

ქ. რუსთავი

ბილიხოძე ნოდარ სოლომონის-ძე
გაბერავა ნუნუ ალექსანდრეს ასული
დემეტრაშვილი არჩილ ნიკოლოზის-ძე
ზოდელავა ალექსი გერმანეს-ძე
კუბალეიშვილი ქორა მარკოზის-ძე
კაპანაძე კლარა სილობისტროს ასული
ლომიძე ვარდენ ივანეს-ძე
მაღრაძე რომან იაკინთეს-ძე
ნიკოლეიშვილი ნოდარ ლეონტის-ძე
ყველია სულეკო კონსტანტინეს ასული
ტიშოვი ივანე დმიტრის-ძე
ფერაძე ლამარა პეტრეს ასული
შავიძე ნატა გიორგის ასული
შჩიბეროვა მარია სოფრომის ასული
ხარაზიშვილი გულიზარ ვლადიმერის ასული
ხვოროსტიანოვი ანატოლი ევგენის-ძე

ქ. ფოთი

**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის

დეპუტატ კ. დ. ერისთავის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი პარტია და მთავრობა ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, მაგრამ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მედიცინას არასდროს არ ექცეოდა ესოდენ დიდი ყურადღება, როგორიც ექცევა უკანასკნელ ხანს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან, თუ ადამიანი ჯანმრთელი არ არის, იგი არ გამოდგება არც სოფლის მეურნეობისათვის, არც საქალაქო წარმოებისათვის, არც მეცნიერებისათვის. კომუნიზმის მშენებლები უნდა იყონ გამოწრთობილნი, ჯანმრთელნი, რომლებსაც ძალა უნდა შეესწავლებინთ გადაჭრან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიადი ისტორიული ამოცანა.

უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია ყოველი ღონისძიებით ეხმარებოდა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში. კომისიამ დამაკმაყოფილებელი ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

კომისიამ შეისწავლა ის საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელიც შეეხება ქალაქების, დაბებისა და დასახლებული პუნქტების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. გამოაშკარავდა ბევრი შემაშფოთებელი ფაქტი. აღმოჩნდა, რომ ბევრ ქალაქსა და დაბაში იყო სიბინძურე, ანტისანიტარია. მხოლოდ ქალაქ თელავის მდგომარეობა აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი. ყოველივე ეს შეიძლება მოწესრიგდეს ადგილზე და არ მოითხოვს ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევას. ეს ადგილობრივი ორგანოების საქმეა, საჭიროა მხოლოდ სათავეში ჩაუდგნენ მის განხორციელებას. ჩვენს რაიონებში არიან შესანიშნავი კადრები — რაიკომების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, მაგრამ მათ რატომღაც დავიწყებას მისცეს ეს საქმე, მთლიანად დაკისრეს იგი ექიმებს. მარტო ისინი კი თავს ვერ ართმევენ ამ ამოცანას.

ჩვენი მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც უკვე მოიტანა გარკვეული შედეგები. მაგრამ დღესაც, როგორც აქ აღინიშნა, არ გვყოფნის აბანოები სოფლად, საპირფარეშოების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საკმარისია გავსინჯოთ ქალაქ თბილისის სანიტარული მდგომარეობა, რომ დავრწმუნდეთ ამაში. ნაგვის გატანა და დაგროვება ქალაქის მახლობლად შეუწყნარებელია, ხელს უწყობს ბუზის გამრავლებას.

შემდეგი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, საექიმო პუნქტებისა და საავადმყოფოების მდგომარეობის საკითხია. ამ საკითხის შესწავლამ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობის კომისიასთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებები გამოააშკარავა. სამკურნალო დაწესებულებანი რაიონებში მეტად არადაძაკმაყოფილებლად მარაგდებიან, მათი ინვენტარი აღარ ვარგა, არ ჰყოფნით ჭურჭელი, კვება ცუდი და ერთფეროვანია, სამზარეულოები კმაყოფილი და შეუკეთებელია, მზარეულებად მუშაობენ არაკვალიფიციური ადამიანები.

ამ საკითხის განხილვამ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და მის გამო კონკურტული გადაწყვეტილების მიღებამ უკვეა ბევრად გაუმჯობესა მდგომარეობა, არსებითად დაეხმარა ჯანმრთელობის დაცვის შუშაკებს.

ამხანაგო დეპუტატებო! არაერთხელ თქმულა სამედიცინო დაწესებულებათა ინვენტარით უზრუნველყოფის შესახებ. საზღვარგარეთის ქვეყნებში, აგრეთვე მთელ რიგ საბჭოთა რესპუბლიკებში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს აქვთ სპეციალური სტანდარტული ავეჯი, რომელსაც გარკვეული ჭარხები ამზადებენ. ეს ავეჯი უბრალო, იაფი, პორტატიული და ლამაზია, მცირე ადგილი უჭირავს.

ქალაქის პირველ საავადმყოფოში მოიტანეს ორი კარადა, რომლებიც მთელ პალატას დაიკავებენ. ეს კარადები ძვირი ჯდება, თვითეულ მათგანზე თითქმის კუბური მეტრი ხე-ტყე იხარჯება. სპეციალური ავეჯის დამზადება, მაგალითად, ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში რამდენჯერმე იაფი ჯდება. მიზანშეწონილი არ არის საავადმყოფო ინვენტარის შეკეთება სხვადასხვა ჭარხნისათვის. ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი ჭარხანა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში.

კომისია ხშირად სწავლობს სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობას. აქაც არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ზოგ ადგილას მედიცინის მუშაკები პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას არაკეთილსინდისიერად უდგებიან. მთელ მოსახლეობას როდი გაუკეთდა სავალდებულო აცრა. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ფიქციურად აღნიშნავენ აცრას. საჭიროა მკაცრი ღონისძიებანი მივიღოთ იმ ექიმების მიმართ, რომლებიც ასეთ უღირს საქციელს სჩადიან. ჩვენი აზრით ასეთი ექიმების სქემე უნდა გადაეცეთ ამხანაგურ სასამართლოებს. ისინი უნდა გავასამართლოთ მოსახლეობის ფართო ფენების დასწრებით. ეს იქნება არა მარტო ექიმის დასჯა, არამედ ხელს შეუწყობს აგრეთვე სავალდებულო აცრის აგიტაციას მოსახლეობაში.

ჩვენი სახელმწიფო დიდ ზრუნვას იჩენს დედებისათვის, ეხმარება მათ შრომასა და ბავშვების აღზრდაში. მაგრამ პატარების მოვლა დიდ ყურადღებას მოითხოვს. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ლაბორატორიები სამშობიარო სახლებსა და განყოფილებებში, რომლებმაც ლაბორატორიული ანალიზების საშუალებით უნდა გაუწიონ დახმარება ექიმებს მძიმე შემთხვევათა თავიდან აცილებაში.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო ფორმაა პროფილაქტიკა. თუ ჩვენ მივაღწევთ ყველა ღია პროცესის მქონე ავადმყოფის იზოლაციას, მაშინ ამ ავადმყოფობას სწრაფად მოიღება ბოლო. არ გვეპატიება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული საწოლების ქსელი.

არ შეიძლება შევურიგდეთ იმ ფაქტს, რომ სამკურნალო ობიექტების მშენებლობაზე აუთვისებელი დარჩა 2 მილიონი მანეთი. არის ზემდგომი ორგანოების გახარგულება იმ ძველი შენობებს გამოყენების შესახებ, რომლებზეც შესაძლებელია დაშენება. განა არ შეიძლება, მაგალითად, რამდენიმე სართული დავაშენოთ ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის შენობას?

მინდა შევეხო სამედიცინო გამომცემლობის საკითხს. ერთ დროს ასეთი გამომცემლობა გაუქმდა, ვგარწმუნებდნენ, რომ საჭირო ლიტერატურის გამოცემა არ შემცირდებოდა. სამწუხაროდ, ეს არ გამართლდა. თუ გამომცემლობის ლიკვიდაციამდე წელიწადში გამოშვებული იყო სამედიცინო ლიტერატურა 1.200 თაბახის მოცულობით, ლიკვიდაციის შემდეგ არც ერთ წელს არ გამოცემულა 600 თაბახზე მეტი. სამე ოსე უნდა მოეწყოს, რომ სამედიცინო ლიტერატურა გამოდიოდეს თუნდაც 1.000 თაბახის მოცულობით. სამედიცინო ლიტერატურის ბეჭდვისათვის შეიძლება გამოვიყენოთ არსებული სტამბა, რომელსაც აქვს მეტად საჭირო ლათინური შრიფტი.

ამხანაგებო! ჩვენი მეცნიერება დიდ მუშაობას ეწევა. მაგრამ ჩვენ ბევრი დაბრკოლება გვაქვს. არ გვყოფნის შენობები, აპარატურა და მედიკამენტებიც კი. უნდა მოვაწესრიგოთ ინსტიტუტებს შორის აპარატურის განაწილების საკითხი მათი საჭიროების მიხედვით.

ახლა რაც შეეხება კოორდინაციის საკითხს. ჩვეულებრივ ეს საკითხი სხვადასხვანაირად ესმით. ზოგს მიაჩნია, რომ ორმა ინსტიტუტმა არ შეიძლება იმუშაოს ერთსა და იმავე პრობლემაზე. ჩემი აზრით, ეს სწორი არ არის. არის ბევრი ისეთი საკითხი, რომელთა გადაჭრა მოითხოვს ბევრი ინსტიტუტის ერთობლივ მეცადინეობას.

მხოლოდ აგეთი გზით შეიძლება უზრუნველვყოთ წარმატება.

მინდა გამოვთქვა აზრი კადრების აღზრდის შესახებ. ჩვენ კარგად, მზრუნველობით ვზრდით კადრებს, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. აღმზრდელები პასუხს უნდა აგებდნენ თავიანთი აღზრდილებისათვის. მომავალი ექიმი, რომელიც გადაწყვიტა ჯანმრთელობის დაცვას ემსახუროს, ინსტიტუტში შესვლის დროს ვალდებულია იცოდეს, რომ იგი ხალხის მსახური უნდა გახდეს.

ჩვენი პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდად ზრუნავდნენ ხალხისათვის. და მე მინდა, რომ ჩვენმა შესანიშნავმა ექიმებმა, მედიცინის დარგის ნიჭიერმა სპეციალისტებმა ამ ზრუნვას უპასუხონ ენერგიული მუშაობით ადამიანთა საკეთილდღეოდ, გამოიჩინონ მეტი გულისხმიერება და ყურადღება მათი ჯანმრთელობის დაცვისადმი. **(ხანგრძლივი ტაში).**

თანამოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

განხილვა მოხსენებისა — „რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი"

დეპუტატ ბ. ნ. ბრიგალაშვილის სიტყვა

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მკაფიო დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდება ასიგნობანი ამ მიზნისათვის. მარტო ჩვენს ქალაქში ასიგნობანი ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებისათვის შეადგენს დაახლოებით 19 მილიონ მანეთს— ქალაქის მთელი ბიუჯეტის მეოთხედს.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი წლითიწლობით იზრდება. შეძენილია და საექსპლოატაციოდ გადაეცა უახლესი სამედიცინო აპარატურა. სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები მთლიანად დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით.

გარკვეული წარმატებების მიუხედავად საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა სამედიცინო მომსახურებაში ნაკლოვანებებიც არის. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გაწევას. ამ მხრივ ჯერ კიდევ ცოტა რამ გვაქვს გაკეთებული. ხშირია შემთხვევები, როცა ავადმყოფებს ესაჭიროებათ სპეციალური სისტემატური სამედიცინო დახმარება, მკურნალობა, მაგრამ მათ ვათავსებთ საერთო საავადმყოფოებში იმის გამო, რომ არ არის სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებები.

აფხაზეთის სსსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. შ. დ. გოგოხიას სიტყვა

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების წინაშე განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სიამაყით შეიძლება განვაცხადო, რომ აფხაზეთში, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც, პრაქტიკულად თითქმის ლიკვიდირებულია ისეთი დაავადებანი, როგორიც არის მალარია, პარატიფი, პოლიომიელიტი, ცოფი, ციმბირის წყლული და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგს. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ დაავადების მკვეთრ შემცირებას. ეს ჩვენი ბრალიც არის, რადგან პროფილაქტიკით არ არის მოცული მთელი მოსახლეობა. გვესაჭიროება დახმარებაც — არ გვყოფნის საწოლთა ქსელი, მედიკამენტები.

უკანასკნელ წლებში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდა სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის დონის ამაღლებისა, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ბევრი საავადმყოფო, პოლიკლინიკა კაპიტალურად შეკეთებული და რეკონსტრუირებულია. ქალაქ სოხუმში სწრაფი ტემპით შენდება რესპუბლიკური საავადმყოფო.

აქ მინდა აღვნიშნო მოწინავე კოლმეურნეობათა ინიციატივა, რომლებიც თავიანთი სახსრებით აშენებენ სამედიცინო დაწესებულებათა შენობებს, უზრუნველყოფენ მათ მოწყობილობით, იძენენ ინვენტარს, მედიკამენტებს.

ჩვენ ვთხოვთ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაგეგმონ ქალაქ სოხუმში ახალ სამკურნალო დაწესებულებათა შენებლობა.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. ი. ბაზაევის სიტყვა

სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ის დრო, როცა სამხრეთ ოსეთის მთელ ჯანმრთელობის დაცვას განასახიერებდა ერთი კერძო ფერშალი, რომელიც ცხინვალში მუშაობდა. ახლა ოლქში 25 საავადმყოფო და დისპანსერია, არის სპეციალიზებული სამკურნალო დაწესებულებები, საბავშვო სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი „ძაუ".

ორატორმა ილაპარაკა დიდ მიღწევებზე ჯანმრთელობის დაცვის დარგში და ამასთან აღნიშნა ნაკლოვანებანი. დღემდე არ არის გადაცემული საექსპლოატაციოდ საავადმყოფოები ჯავასა და ლენინგორში. იგრძნობა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საბავშვო საავადმყოფოს საჭიროება.

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ყველაზე სუსტი რგოლია სამედიცინო კადრების საკითხი. ნაცვლად 275 ექიმისა სამხრეთ ოსეთში მუშაობს 172 ექიმი. მაღალი მთის ზონის ზოგიერთ რაიონში საერთოდ არ არის არც ერთი ექიმი. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. უეჭველია, რომ გადაწყვეტილება სამედიცინო ინსტიტუტის დაკომპლექტების გადასინჯვის შესახებ დადებით როლს შეასრულებს.

ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ გაუმჯობესონ მუშაობა, სოფლის მოსახლეობას გაუწიონ უფრო კვალიფიციური და ყოველმხრივი სამედიცინო დახმარება.

დეპუტატ მ. უ. ყულიევის სიტყვა

ჩვენი სამშობლო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც კისრულობს ზრუნვას მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განუწყვეტლივ გაუმჯობესებისათვის. ეს ზრუნვა დიდსა და საპატიოა. განა ამას არ მოწმობს ის ფაქტი, რომ, მაგალითად, დმანისის რაიონში, სადაც 1920 წელს მუშაობდა მხოლოდ ერთი საფერშლო პუნქტი, ახლა 37 სამედიცინო დაწესებულებაა.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მოწოდებულია ღრმად ჩასწვდეს თავის დაწესებულებათა მუშაობას ყველა რაიონში, იცოდეს ყოველი მათგანის საჭიროებანი. ჩვენს რაიონში ბევრ ამბულატორიას დღემდე აკლია ექიმები, ავადმყოფებს დახმარება სამედიცინო კადრებით დაკომპლექტებაში. მოუხერხებელ მდგომარეობაშია რაიონული საავადმყოფო, ინფექციური და სამშობიარო განყოფილებები, რომლებიც მოთავსებულია ერთ კორპუსში პოლიკლინიკასთან ერთად. ამიტომ ინფექციურ ავადმყოფთა იზოლაცია სრულიად შეუძლებელია. საჭიროა მოეწყოს რაიონული-საავადმყოფოს ცენტრალური გამბობა.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ ჯეროვნად არ ზრუნავენ სოფლის ექიმებისათვის. ისინი ყოველთვის როდი არიან უზრუნველყოფილნი ბინებით, კომუნალური მომსახურებით. ეს სოფლის საბჭოების, კოლმეურნეობების პირდაპირი მოვალეობაა და ჩვენ გავაძლიერებთ პასუხისმგებლობას ამ საქმეში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის ამხ. პ. გ. ბელგახიანის სიტყვა

ჩვენი ინსტიტუტის, მისი ხელმძღვანელობის მიმართ სესიაზე გამოთქმული კრიტიკა სავსებით სამართლიანია. ინსტიტუტის 57 კათედრა დაკომპლექტებულია 73 მეცნიერებათა დოქტორით, 135 კანდიდატით და ასობით მასწავლებლით. მრავალრიცხოვანია პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები. მაგრამ ეს დიდი ძალა ჯერ კიდევ სუსტად არის გამოყენებული სტუდენტ ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ინსტიტუტი წლითიწლობით ვერ ასრულებს სტუდენტთა განაწილების გეგმას. ახალგაზრდობას არა სურს წავიდეს არათუ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, არამედ თბილისიდანაც. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ყოველთვის როდი ვიჩენთ ობიექტურობასა და პრინციპულობას. ხშირად ვცვლით ხოლმე თავდაპირველ გადაწყვეტილებას გახაწილების შესახებ და საცალად იმისა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი წავიდეს იქ, სადაც მოელინა, იგი „ეწყობა" საკუთარი ნება-სურვილით. მიმდინარე წელს გარკვეულად გავაუმჯობესეთ მუშაობა კურსდამთავრებულებთან. 85 მათგანი გაემგზავრა მაღალ მთისა და საზღვრისპირა რაიონებში.

იმისათვის, რომ მომავალ სპეციალისტთა მომზადების დონე მაღალი იყოს, საჭიროა განმტკიცდეს ინსტიტუტის საწავლო ბაზა. საკმარისი არ არის სპეციალური სამედიცინო ლიტერატურა. მედიცინის მეცნიერების სხვადასხვა დარგის უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა გამოცემა სუსტად არის მოწყობილი, ცოტა გამოდის სახელმძღვანელოები.

აჭარის სსსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. ი. მ. დიასამიძის სიტყვა

ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა წლითიწლობით უმჯობესდება. იზრდება ასიგნობანი სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობისათვის, სამედიცინო მოწყობილობისა და აპარატურის შეძენისათვის. ამჟამად აჭარის მოსახლეობას ემსახურება 224 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.

დიდად განვითარდება ჯანმრთელობის დაცვა შავიწყლეთში. აშენდება ახალი საავადმყოფოები, სამედიცინო პუნქტები, ამბულატორიები. გიფართოვდება სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი.

აჭარის სსსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, რომელთა რიცხვი 3 ათას კაცს აღემატება. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში 100-ზე მეტმა ექიმმა აიმაღლა კვალიფიკაცია, ბევრმა გაიარა დახელოვნების კურსები.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა, განსაკუთრებით, სასოფლო რაიონებში, კადრებით უზრუნველყოფაში ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. სპეციალისტთა ნაკლებობის გამო ჩვენ პრაქტიკაში გვაქვს ექიმების ხანგრძლივი მივლინება ქალაქ ბათუმიდან. ახლა ასეთ მივლინებაშია 10 ექიმი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს შეუძლია დიდი სამსახური გაგვიწიოს, თუ თავის კონტინგენტში ჩარიცხავს ჩვენ მიერ მივლინებულ ქალიშვილებსა და ჯაბუკებს.

ჩვენი დაწესებულებებისათვის ერთ-ერთი საჭირობოროტო საკითხია სამედიცინო აპარატურის შეძენა. განსაკუთრებით ძნელია ფიზიოაპარატურის შეძენა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საკმარისი არ არის გამოყოფილი სახსრები, და, მეორეც, ძნელია ასეთი აპარატურის შოვნა, ვერსად ვერ იშოვნი სამედიცინო ინსტრუმენტებისა და დანადგარების სათადარიგო ნაწილებს. ვთხოვ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიიღოს ღონისძიებანი ამ მიმართულებით.

დეპუტატ ნ. ი. როდომანიჩენკოს სიტყვა

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ეამაყობთ სამამულო ჯანმრთელობის დაცვის წარმატებებით, დიდად ვიფასებთ ექიმთა, ფერშალთა კეთილშობილურ შრომას. როგორ არ უნდა ვიამაყოთ იმ მიღწევით, რომ მოსახლეობის სიკვდილიანობა სსრ კავშირში ყველაზე დაბალია მსოფლიოში. ეს შედეგია ჩვენი პარტიისა და მთავრობის ბეშმარიტად უდიდესი ღონისძიებებისა, რომლებისთვისაც ყველაზე საპატიოა მშრომელთა ინტერესები.

დიდი ზრუნვით არიან გარემოსილნი სამრეწველო საწარმოთა მუშაკები. ყოველწლიურად ხორციელდება ღონისძიებანი, რათა წარმოების მუშაკთათვის შეიქმნას სუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. მაგრამ საიდუმლო როდია, რომ მთელი რიგი ქარხნებისა და ფაბრიკების ხელმძღვანელები, საწარმოო საქმეებისათვის რომ ზრუნავენ, ნაკლებად ფიქრობენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის, მათი შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, ყურადღებას არ აქცევენ წარმოების მუშაკ დედებს.

მინდა აღვნიშნო, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილ მეცნიერთა, სპეციალისტთა მაღალკვალიფიციურ დახმარებას საავადმყოფოების, ამბულატორიების, პოლიკლინიკების მუშაკებისადმი. ვთხოვთ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ისე განაწილოს პროფესორთა, დოცენტთა სამუშაო დროდ, რომ მათ შეძლონ მუშაობა რამდენიმე პოლიკლინიკასა და საავადმყოფოში.

დეპუტატ დ. ს. ტაკიძის სიტყვა

მინდა ამ მაღალი ტრიბუნიდან მადლობა გადავუხადო იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს. მარტო მახარაძის რაიონის სოფლებში კოლმეურნეობათა სახსრებით აშენდა 10 სასოფლო ამბულატორია, 24 საკოლმეურნეო საბავშვო ბაგა, 2 საუბნო საავადმყოფო. ჩემს მშობლიურ სოფელ ნატანებში აშენებულია 25-საწოლიანი კეთილმოწყობილი საავადმყოფო.

ჯანმრთელობის დაცვის საკითხები ყოველთვის დგას რაიონის პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში. სულ ახლახან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიაზე განხილულ იქნა ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი.

მეტი უნდა ვიზრუნოთ სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ ქალებს. ბევრი საბავშვო ბაგა ცუდად არის მოწყობილი, საკმარისი არ არის საჭირო ავეჯი. უნდა დაგეხმაროს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო.

ჩვენს რაიონში, სადაც რამდენიმე ათასი ბავშვი იზრდება, დღემდე არ არის კეთილმოწყობილი საბავშვო საავადმყოფო. ძველი შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. გთხოვთ გაითვალისწინოთ 100-ადგილიანი ახალი საბავშვო საავადმყოფოს მშენებლობა უახლოეს წლებში.

დეპუტატ გ. მ. მარუაშვილის სიტყვა

ამ სესიაზე ბევრი ილაპარაკეს ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა წარმატებებზე, მათი მუშაობის ნაკლოვანებებზე. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ ეს წარმატებანი მართლაც კიდევ უფრო ძნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც როდენობრივად, ისე ხარისხობრივად, ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკი, თვითეული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების კოლექტივი მეტი ფერი თავისი შესაძლებლობების მიხედვით რომ მუშაობდნენ.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე ახლა დგება კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანები. ყველაზე დიდ ყურადღებას მოითხოვს სასოფლო სამედიცინო ქსელი. სასოფლო ამბულატორიების, საავადმყოფოების, დისპანსერების, კონსულტაციების საქმიანობას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. აქ ილაპარაკეს ამის შესახებ — ეს არის შენობების, კადრების ნაკლებობა, ცუდი აღჭურვილობა, შეფერხება კვების პროდუქტებითა და მედიკამენტებით მომარაგებაში.

ჩვენ უნდა მივიღოთ ღონისძიებანი ქალაქებისა და სოფლების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მეტი ყურადღება მივაქციოთ სადეზინფექციო სამუშაოთა განხორციელებას.

ჩვენ გვყავს შესანიშნავი კადრები, ექიმების უმრავლესობა ერთგულად ემსახურება კეთილშობილურ საქმეს, პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას. მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება გამოძალვის, ბიუროკრატიზმისა და ავადმყოფებისადმი უსულგულო დამოკიდებულების სხვა გამოვლინებათა ფაქტები. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მთელი ჩვენი სამედიცინო საზოგადოებრიობა მოწოდებული არიან აღმოფხვრან ასეთი მოვლენები ჩვენს სამედიცინო პრაქტიკაში.

ვუერთდები თანამომხსენებლის დეპუტატ კ. დ. ერისთავის წინადადებას და ვთხოვ რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს დადებითად გადაჭრან ის საკითხი, რომ ჩვენი სამინისტროს გამგებლობაში გადაეცეს სამედიცინო ლიტერატურის გამომცემლობა.

დეპუტატ ს. ს. მატმანიანის სიტყვა

ჩვენს რაიონში მუშაობს ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის დიდი რაზმი. ეს ადამიანები გარემოსილი არიან მთელი ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით. ოთხ ექიმს მიენიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის სპატიო წოდება, 17 კაცი კი დაჯილდოებულია „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით.

ამავე დროს ჩვენ განვიცდით მედიცინის კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. ამჟამად რაიონში ისეთ სპეციალისტთა 21 ვაკანტური თანამდებობაა, როგორიც არის ეპიდემიოლოგი, პედიატრი, კლინიკური ლაბორატორიის გამგე, კვების სახიტარიის ექიმი, ოკულისტი, ტამატოლოგი. როგორც ამ სესიაზე გამოირკვა, ეს სპეციალისტები სხვა რაიონებშიც აკლიათ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა გაადიდოს ამ პროფილების სპეციალისტთა მომზადება.

რაიონში მედიცინის მუშაკთა ნაკლებობის ძირითადი მიზეზია საკუთარი, ადგილობრივი კადრების არადაკმაყოფილებელი მომზადება. ყოველწლიურად რაიონის 28 საშუალო სკოლას ამთავრებს 300-350 მოსწავლე, დიდი უმრავლესობა—სომხურ ენაზე.

ამასთან დაკავშირებით ვთხოვთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას გვიშუამდგომლოს სომხეთის სს რესპუბლიკის წინაშე—შეღავათიანი პირობები შეუქმნას ჩვენი რაიონის წარმომადგენელ აბიტურიენტებს ერევნის სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად ეს საშუალებას მოგვცემს უახლოეს წლებში რაიონში საჭირო რაოდენობით გვყავდეს მედიცინის მუშაკები ადგილობრივ მცხოვრებთაგან.

რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის ამხ. ზ. გ. ნადირაშვილის სიტყვა

უკვე სამი წელიწადია რუსთავში საინტერესო და კარგი ტრადიცია დამყარდა—ყოველი კვარტალის დამლევს იკრიბებიან ყველა უბნის ექიმები, სასწრაფო დახმარების ექიმები, სამრეწველო საწარმოებში კი—საამქროთა ორდინატორები, რათა გამოავლინონ და აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი. ყოველი ექიმი ანგარიშს აბარებს იმ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ, ოაც თავის უბანზე განახორციელა. ამ კრებებს ესწრებიან საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები.

დიდ და სასარგებლო მუშაობას ეწევიან ქალაქის დიდ სამედიცინო დაწესებულებებთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოები. მეტალურგიული ქარხნის საბჭო დაგვეხმარა შეგვეძინა ბიოქიმიური ლაბორატორია, კარდიოლოგიური და ფიზიოთერაპევტა, პოლიკლინიკის შენობაში მოაწყო აბაზანა ბალნეოლოგიური მკურნალობისათვის. ეს საბჭო ხელს უწყობს აგრეთვე ტუბერკულოზით დაავადებულთა შრომითს მოწყობას და უზრუნველყოფს მათ იზოლირებული ბინებით.

ფართოდ ხორციელდება ქალაქში პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რის მეოხებითაც მთელი წლის განმავლობაში არ ყოფილა დიფთერიით დაავადების არც ერთი შემთხვევა, მაგრამ მოსახლეობის სამედიცინო მოსახურებაში ნაკლოვანებებიც გვაქვს. ქალაქს არ ჰყოფნის სასმელი წყალი. ეს ფარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ზაფხულის თვეებში კი მცხოვრებნი ზოგჯერ ტექნიკური წყლითაც სარგებლობენ. დღემდე ვერ გადაიჭრა საკითხი ნაგვის გადასაყრელი ადგილის გამოყოფის შესახებ, რაც ანტისანიტარიას იწვევს.

ახლა ხორციელდება ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მთავრდება ახალი წყალსადენის დაპროექტება.

დეპუტატ მ. ბ. ღვინჯილიას სიტყვა

სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, პიონერული და ტურისტული ბანაკების პროდუქტებით მომარაგება წლითიწლობით უმჯობესდება და იზრდება, უმჯობესდება პროდუქტების ხარისხი და ასორტიმენტიც. მაგრამ უდავოა, რომ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს პროდუქტებზე.

სამინისტრო ახორციელებს სერიოზულ ღონისძიებებს, რათა გაუმჯობესდეს სახოგადოებრივი კვება საწარმოებში და სანიტარულ-ტექნიკური პირობები სავაჭრო ობიექტებში. უკანასკნელ წლებში მაღაზიებში დაიდგა სამაცივრო დანადგარები, ელექტროსაცხობები, კარტოფილის საწმენდები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ი. გელდიაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამავალა მოვახსენო საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს იმ ბრძანებულებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის შემდეგ და საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად უნდა განიხილოს და დამტკიცოს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ.

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 23 მარტის ბრძანებულებებით შექმნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკური სამინისტრო და გაუქმა საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო, ხოლო 1962 წლის 26 მარტის ბრძანებულებით გაუქმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ამ ბრძანებულებების დამტკიცებასთან ერთად საჭიროა შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 და 56 მუხლებში, რომლებშიც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროები.

ამასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო აერთიანებდა კომუნალურ მეურნეობასა და ადგილობრივ მრეწველობას, რომელიც მრავალდარგოვანი იყო და ხელმძღვანელობას ართულებდა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შემოვიდა წარდგენით ამ სამინისტროს გაუქმებისა და მის ნაცვლად **ორი** სამინისტროს შექმნის შესახებ. ამის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 21 ივნისას ბრძანებულებით გააუქმა საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს ბაზაზე შექმნა საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტრო და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტრო.

ამ ბრძანებულების დამტკიცებასთან ერთად საჭიროა შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56 მუხლში, რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აპრილის ბრძანებულებით სამგორის რაიონი გამოიყო ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული დაქვემდებარებიდან.

ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება მიმდინარე სესიამ დაამტკიცოს ეს ბრძანებულება და შეიტანოს შესაბამისი დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19 მუხლში, სადაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ რესპუბლიკის შემადგენლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 21 ივნისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტად.

ამ ბრძანებულების დამტკიცებასთან ერთად საჭიროა შეტანილ იქნას შესაბამისი დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვთა სულადობის რაოდენობის მოწესრიგებას მიზნით 1962 წლის 18 იანვარს მიიღო ბრძანებულება ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირადი საკუთრების პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ზღვრული ოდენობის დაწესების შესახებ. ამასთან დაწესდა პასუხისმგებლობა ამ ბრძანებულების დარღვევისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებასა და შენახვაში უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 21 თებერვალს მიღებულ იქნა ბრძანებულება საქართველოს სსრ სისლის სამართლის კოდექსისათვის 102[1] მუხლის დამატების შესახებ. ამ ბრძანებულებით საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო ან კოოპერაციული ორგანიზაციების კუთვნილი ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენებისა და შენახვისათვის დაწესდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს განსახილველად შემოგაქვს აგრეთვე კანონების პროექტები, რომლებიც უნდა დამტკიცოს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 27 მარტს ბრძანებულებით დამტკიცა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულება.

დებულების თანახმად არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოებთან. კომისიები მიზნად ისახავენ არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის წარმოშობის და მართლწესრიგის დარღვევის თავიდან აცილებას, არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას, ბავშვთა და მოზარდთა მოწყობას და მათ უფლებათა დაცვას, აგრეთვე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებებს საქმიანობაზე.

1962 წლის 27 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების საფუძველზე მიიღო ბრძანებულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მოქალაქეთა საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ.

ამ ბრძანებულებით დაწესდა, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მოქალაქეთა საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა, გარდა კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი საკარმიდამო ნაკვეთებისა, წარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

დამნაშავე და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მხრივ მილიციის მუშაკის და სახალხო რაზმელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის, აგრეთვე გაუპატიურებისა და მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15, 20 თებერვლის და 4 აპრილის ბრძანებულებების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 19 აპრილს მიიღო ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

ამ ბრძანებულების თანახმად საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ მილიციის მუშაკის და სახალხო რაზმელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის გაძლიერებულია სასჯელი, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში დამნაშავე პირებს შეიძლება შეეფარდოთ სიკვდილით დასჯა.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა დემოკრატიის თანმიმდევრობით განვითარებამ, საბჭოთა მართლწესრიგის დაცვასა და კანონიერების განმტკიცებაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმამ შექმნა პირობები ჯარიმების, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შემდგომი შეზღუდვისათვის. აღნიშნულის გამო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 19 აპრილს მიიღო ბრძანებულება ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ.

ამ ბრძანებულებით, ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომ შეზღუდვასთან ერთად, შემცირდა ჯარიმების დაწესებისათვის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოთა და დაჯარიმების უფლების მქონე პირთა და ორგანოთა წრე, შეიზღუდა იმ დარღვევების ნუსხა, რომელთა გამო შეიძლება დაჯარიმება, და შემცირდა დაზღვევების ცალკეულ სახეობებზე ჯარიმების ოდენობა. ამასთან დამჯარიმებელი ორგანოების საქმიანობაში განმტკიცდება კანონიერებისა და კოლეგიურობის საწყისები. ახლა, როცა ადმინისტრაციული იძულების სფერო სულ უფრო მცირდება, ისეთი ზომა, როგორიც არის ჯარიმა, გამოყენებული იქნება მოქალაქეთა, აგრეთვე თანამდებობის პირთა მიმართ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი ან დისციპლინური ზემოქმედების ზომები არ იქნება ცნობილი საკმარისად. ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბრძანებულებით დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება დაუშვებელია. ამიერიდან დაჯარიმდებიან თანამდებობის ის პირნი, რომელნაც ვალდებულნი არიან თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობით უზრუნველყონ დადგენილი წესების დროულად შესრულება, მაგრამ არ ასრულებენ მას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებამ საავტომობილო გზების შენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, საშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადების და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ — დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკაში საავტომობილო გზების შენებლობის საქმეს.

აღნიშნული ბრძანებულების მოქმედების 1960 და 1961 წლების შედეგებმა ცხადყო, რომ საჭიროა შეტანილ იქნას ცვლილებანი და დამატებანი ამ ბრძანებულების 3, 6 და 13 მუხლებში.

რესპუბლიკაში ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების სატვირთო ავტოტრანსპორტის საერთო სარგებლობის ერთიან ტრანსპორტში გაერთიანებასთან დაკავშირებით ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციას საკუთარი სატვირთო ავტოტრანსპორტი მცირე რაოდენობით აქვს და მათი საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის მოცულობა ფრიად უმნიშვნელოა. ამის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 25 მაისის ბრძანებულებით შეტანილ იქნა ცვლილება 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების 3 მუხლში და ასეთი საწარმოებისა და ორგანიზაციების საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის მოცულობა განსაზღვრა მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორის, სამშენებლო და საგზაო მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის ოდენობით წელიწადში, მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის არანაკლებ 0,06 პროცენტისა.

წინა ბრძანებულების 6 მუხლით იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების საგზაო სამუშაოებში ჩაბმის მოცულობას და წესებს, რომელთაც არა აქვთ საკუთარი ტრანსპორტი, მექანიზმები და მოწყობილობა, განსაზღვრავდნენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რაც ხშირად ადგილებზე იწვევდა გაუგებრობას და ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი საწარმოებისა და ორგანიზაციების საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის მოცულობის გაუმართლებელ გადიდებას.

ამის გამო შეტანილ იქნა ცვლილება ბრძანებულების 6 მუხლში და იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის მოცულობა, რომელთაც საკუთარი ტრანსპორტი, მექანიზმები და მოწყობილობა არა აქვთ, განისაზღვრა მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის 0,06 პროცენტის ოდენობით, ხოლო მომმარაგებელი, გამსაღები და საგაჭრო ორგანიზაციებისათვის — მათი წლიური ბრუნვის (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩაუთვლელად) 0,02 პროცენტის ოდენობით.

აგრეთვე ადგილობრივი საგზაო ორგანოების საწარმოო ბაზების განვითარებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შეტანილ იქნა დამატებანი ბრძანებულების 13 მუხლში, რის საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება ეძლევათ გამოიყენონ ამ მიზნებისათვის ადგილობრივი საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე შემოსული ფულადი სახსრების 25 პროცენტამდე.

„სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 10 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 5 ივნისს მიიღო ბრძანებულება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25 მუხლის მეორე ნაწილის, 26 და 95 მუხლების გამოყენების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში.

აღნიშნული ბრძანებულებით, თუ მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეულლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს პირად საკუთრებაში აღმოუჩნდებათ ერთ საცხოვრებელ სახლზე მეტი, მესაკუთრეს თავისი არჩევით შეუძლია დატოვოს თავის საკუთრებაში რომელიმე ამ სახლებიდან. სხვა სახლი (სახლები) მესაკუთრემ ერთი წლის განმავლობაში უნდა გაყიდოს, გაანაწილოს ან გაასხვისოს სხვა საშუალებით. ამასთან დაწესდა, რომ თუ მესაკუთრე ერთი წლის განმავლობაში არ ისარგებლებს სახლის რომელიმე ფორმით გასხვისების თავისი უფლებით, იგი გაყიდულ უნდა იქნას იძულებით ან ერთ წესით. რომელიც განსაზღვრულია ამავე ბრძანებულებით.

ამ ბრძანებულებით აგრეთვე დაწესდა, რომ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოქალაქემ განიცადა საფრთხეში მყოფ სოციალისტური ქონების გადარჩენისას, იწყარმოებს იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის ქონებაც გადაარჩინა დაზარალებულმა, ხოლო დავის შემთხვევაში — სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენების საფუძველზე მიიღო მრავალი ბრძანებულება მთავრობის ზოგიერთი წევრის დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 36 მუხლის თანახმად ეს ბრძანებულებანი შემოგვაქვს უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

1962 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით ამხ. სიმონ სვენერიანეს-ძე ლორთქიფანიძე გათავისუფლებულ იქნა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან.

ამავე თარიღის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრად დაინიშნა ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძე.

1962 წლის 26 მარტის ბრძანებულებით ამხ. ბიძინა ბერიასარის-ძე იაკობაშვილი გათავისუფლებულ იქნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან ამ სამინისტროს გაუქმების გამო.

1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ ხოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი ამხ. მიტროფანე იოსეს-ძე კუჭავა გათავისუფლებულ იქნა საქართველოს სსრ ხაგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან.

ამავე თარიღის ბრძანებულებით ამხ. არჩილ ალექსანდრეს-ძე გოგოშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად.

1962 წლის 27 თებერვლის ბრძანებულებით ამხ. ჯაბრიელ მიხეილის-ძე ქართველიშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

1962 წლის 1 მარტის ბრძანებულებით რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ამხ. ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვი დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 23 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მიტროფანე იოსეს-ძე კუჭავა დანიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად.

ამავე თარიღის ბრძანებულებით ამხ. დავთარ მიხეილის-ძე მამულაძე გათავისუფლებულ იქნა საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან ამ სამინისტროს გაუქმების გამო.

1962 წლის 26 მარტის ბრძანებულებით ამხ. ბიძინა ბერიასარის-ძე იაკობაშვილი გათავისუფლებულ იქნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან ამ სამინისტროს გაუქმების გამო.

1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ ხოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან ამ სამინისტროს გაუქმების გამო.

1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ ხოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად ამხ. ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძე დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრად.

ამავე თარიღის ბრძანებულებით ამხ. ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძე გათავისუფლებულ იქნა საქართველოს სსრ ხაგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან.

ამავე თარიღის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრად დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამეშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გივი შალვას-ძე მიქელაძე.

1962 წლის 27 თებერვლის ბრძანებულებით ამხ. ჯაბრიელ მიხეილის-ძე ქართველიშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

1962 წლის 1 მარტის ბრძანებულებით „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ამხ. ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვი დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 23 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვი დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 23 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მიტროფანე იოსეს-ძე კუჭავა დანიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად.

ამავე თარიღის ბრძანებულებით ამხ. ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძე გათავისუფლებულ იქნა საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან.

ამავე თარიღის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. სიმონ სვენერიანეს-ძე ლორთქიფანიძე დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის და არქიტექტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თავმჯდომარე ამხ. ბეჟან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანიძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრად.

ამავე თარიღის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრად დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამეშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გივი შალვას-ძე მიქელაძე.

1962 წლის 27 თებერვლის ბრძანებულებით ამხ. ჯაბრიელ მიხეილის-ძე ქართველიშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

1962 წლის 1 მარტის ბრძანებულებით „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ამხ. ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვი დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 27 მარტს ბრძანებულებით დამტკიცა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულება.

კომუნისტი

№ 4 გაზეთი, კვირა,

24 ივნისი, 1962 წ.

24 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა



დღეს მეხუთედ აღნიშნავს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი ახალგაზრდობა თავის დღესასწაულს. ზეიმობენ ჩვენი ქალაქები და სოფლები, სახელოვანი შრომითი საჩუქრებით ახარებენ სამშობლოს ჩვენი გმირკე, ნიჭიერი, ბეჯითი ჭაბუკები და ქალიშვილები.

დღეს, 24 ივნისს, საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომკავშირელების, ახალგაზრდების მისწრაფებაა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, კომუნიზმის მშენებლობაში. სოფლად თუ ქალაქად ისინი ბევრი ახლის, საინტერესოს ინიციატორები არიან. ეს ინიციატივა და შრომითი აღმავლობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება საკავშირო კომკავშირის XIV ყრილობის შემდეგ, ყრილობისა, რომელმაც ახალგაზრდობას პარტიის ახალი პროგრამის — კომუნიზმის მშენებლობის ამ დიდი მანიფესტის — ხორცშესხმისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის კონკრეტული გზები დაუსახა. წარმოებებში თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალგაზრდები ეძიებენ და ჰპოვებენ კიდეც შრომის ნაყოფიერების გადიდების რეზერვებს. ამ მიზნით იბრძვიან „კომკავშირული პროექტორის“ რაზმები. სოფლის ახალგაზრდობა იღვწის სკკ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომ წელს უხვი მოსავალი მოიყვანოს, მიაღწიოს მეცხოველეობის ახალ აღმავლობას.

აი ამ სურათზე ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გუშინ აღბეჭდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს მოზეიმე, შრომასა და სწავლაში წარჩინებული ახალგაზრდების ერთი ჯგუფი, როცა იგი სამუშაოდან გამოდიოდა. ეს ახალგაზრდები წარმატებით ხვდებიან საბჭოთა ახალგაზრდობის დღესასწაულს.

* * *

სურათზე: თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე მუშა-ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან): ალა კოლჩეკა, მიხეილ ლალიანი, ლამარა მაზმანაშვილი, ელენე კახელაშვილი, მარიამ თედეშვილი, როლანდ ყაჯრიშვილი, ნინო ქავთარაძე, იური შარიქაძე და ფუკა გვაძაბია.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რეპორტაჟი ლენინგრადიდან

„დაისის“ შემდეგ „ოტელო“

ლენინგრადი, 23 ივნისი. („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი).

გუშინ ქართული ეროვნული ოპერის შედევრმა ზაქარია ფალიაშვილის „დაისმა“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლენინგრადელებზე. „მეტყველ“ დუმილს დროდადრო მოწონების და აღტაცების შეძახილები, მქუხარე ტაშის ხმა არღვევდა. წარმატება ხვდა სპექტაკლის ქორეოგრაფიულ მხარესაც. მაგალითად, პირველ მოქმედებაში ვ. გუნაშვილსა და ა. დვალს განუწყვეტელი „ბისის“ და „ბრავოს“ ძახილით ორჯერ გაამეორებინეს ცეკვა.

დარბაზში იყვნენ ლენინგრადის მუსიკალური და თეატრალური საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ლენინგრადის ს. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტებს რსფსრ სახალხო არტისტებს **გ. ბარინოვას** და **მ. მაძსიმოვას** ვთხოვეთ გამოეთქვათ თავიანთი აზრი.

გ. ბარინოვა — „დაისი“ ბრწყინვალე ოპერაა. ფირზე ჩაწერილი ადრეც მომისმენია, მაგრამ სცენაზე პირველად ვნახე. ვნახე და არ შემიძლია დავმალო აღტაცება. ფალიაშვილი მუსიკის ჯადოქარია. მუსიკის ენაზე იგი საოცარი ნიუანსებით გადმოგვცემს ადამიანის სულის შინაგან სამყაროს, რომლის გამოსახატავადაც სიტყვა უძლურია. ეს არის მუსიკა, რომელსაც ვერაფერს დააკლებს საუკუნენი.

მ. მაძსიმოვა — სპექტაკლით, გამოგიტყდებით, აღტაცებული ვარ. რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი დიდი გემოვნების ხელოვანია. მინდა ხაზი გავუსვა აგრეთვე სოლისტების დახვეწილ საშემსრულებლო ოსტატობას. ზ. ანჯაფარიძე, ო. კუზნეცოვა, ბ. კრავეიშვილი პირველი კლასის ვოკალისტები არიან.

სულ რაღაც ერთი საათია რაც დამთავრდა მეორე სპექტაკლი. დღეს წარმოდგენილი იყო ალ. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“. დირიჟორობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი. ვენეციელი მავრის პარტია შეასრულა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ვ. ჭაბუკიანმა, დეზდემონასი — რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვ. წიგნაძემ, იაგოსი — რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ზ. კიკალეიშვილმა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ თეატრალური ხელოვნების ზოგიერთ მოღვაწეს, რომლებიც სპექტაკლს ესწრებოდნენ.

ს. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. სერგეევი ამბობს: ჩვენ, მე და ვახტანგ მიხეილის-ძე, ერთად ვსწავლობდით აქ, ლენინგრადში და ერთხანს ერთად გვიხდებოდა გამოსვლა. ჩვენ ძველი მეგობრები და „მეტოქეები“ ვართ. ამიტომაც გულით მახარებს მისი წარმატება. უყურებ „ოტელოს“ და ვრწმნობ, რომ ეს სპექტაკლი არის როგორც ქორეოგრაფიული, ისე დრამატული ხელოვნების დღესასწაული.

რსფსრ სახალხო არტისტმა ბ. ბრეგვაძემ თქვა: ეს არის ნამდვილი შექსპირი. „ოტელომ“ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა.

ხვალ დილით ქართული საოპერო თეატრის კოლექტივი უჩვენებს ჯ. პუჩინის ოპერას „ბოჰემას“. საღამოს წარმოდგენილი იქნება ბალეტი „გორდა“.

ოც წუთში ოთხი გუნთი

„დინამო“ (თბილისი) — **„ავანგარდი“** (ხარკოვი) — 4:1 (0:1). თბილისი. 23 ივნისი. „ბოურევესტნიკის“ სტადიონი. მსაჯი — **ი. ლიბერინასი** (ვილნიუსი).

„დინამო“: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჟოლავა; გ. სიჭინავა, ზეინალიშვილი; მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე (ხელაძე), მესხი.

„ავანგარდი“ — ვლასენკო (შელეგი); ონისკო, მარენკო, ტოდოროვი; მასლენიკოვი (ოუერედოვი), კრავჩენკო; კოსტიუკი, კაშტანოვი, პანფილოვი, კოროლიოვი, კროშჩენკო.

ბრძოლის პირველი 10 წუთის მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, თბილისელებს ადვილი გამარჯვებისათვის უნდა მიეღწიათ, მაგრამ ეს ცეცხლოვანი და შეწყობილი თამაში დიდხანს არ გაგრძელებულა. სტუმრები თანდათან „გამოფხიზლდებენ“ და კონტრთამაშით უპასუხეს.

„დინამოს“ მცველთა ხაზში ბზარი გაჩნდა, ნახევარმცველები მოწყვეტილი აღმოჩნდნენ მოიერიმე ხუთეულისაგან. შეიქმნა არასახარბიელო მდგომარეობა, რაც საც მალე შედეგიც მოჰყვა. ერთ-ერთი იერიშის დროს, მარჯვენა ფრთიდან კარგად გათამაშებული კომბინაციის შედეგად ხარკოველებმა ანგარიში გახსნეს.

1:0 სტუმართა სასარგებლოდ — ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევარში იამანიძე, რომელიც კვლავ ცუდად თამაშობდა, ხელაძემ შეცვალა. მან გ. სიჭინავას ადგილი დაიკავა, გ. სიჭინავა კი ხუთეულში ათ ნომრად ჩადგა.

თამაშის დამთავრებას 20 წუთი აკლია. თბილისელები აშკარა დამარცხების წინაშე დგანან. და აი ერთბაშად იფეთქა დინამოელთა შესაძლებლობამ, რიტმულად ამოძრავდა ყველა ხაზი. რვაოცი, 24-ე წუთზე გ. სიჭინავა შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარისაკენ. მეკარემ შეძლო მხოლოდ მოგერიება, მაგრამ ბურთს მიუსწრო კალოევმა და გათანაბრა ანგარიში. პირველ წარმატებას მეორე მოჰყვა. 7 წუთის შემდეგ მესხის კომბინაცია, რომელიც ორივე ტაიმში განსაკუთრებით აზრიანად თამაშობდა, ბარქაიამ გოლით დაადგერგინა.

ეფექტური იყო ბოლო წუთები. 38-ე წუთზე მელაშვილ